მოსკოველებს მოეწონათ მატჩი “ა” კლასში

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონი. 13 სექტემბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

“სპარტაკი”: ივანოვი (ივაკინი), კრუტიკოვი, მასლიონკინი, სოლდატოვი, ჩისტიაკოვი, ნეტო, გრეკოვი, ისაევი, სევიდოვი, მოზერი, ილინი.

ტელეფონით (ჩვენი კორ.).

ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ მოსკოვის ფეხბურთის მოყვარულთა შორის დიდი უმრავლესობა “სპარტაკის” ერთგული ქომაგია, ისინი ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან იმ სამწუხარო ფაქტს, რომ მათი საყვარელი გუნდი ვერ მოხვდა პირველ ექვსეულში და “სადღაცაა” ჩარჩენილი. მიუხედავად ამისა, “სპარტაკის” გულშემატკივარნი არ ღალატობენ თავიანთ კოლექტივს და რეგულარულად ესწრებიან მის მატჩებს. მით უმეტეს, თუ სპარტაკელები ხვდებიან თავიანთ ძველ და ნაცად მეტოქეებს – თბილისის დინამოელებს. შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი VII ადგილისათვის, მაგრამ ჩვენ მას ვუყურეთ დიდი სიამოვნებით, როგორც ყოველთვის, როცა ეს გუნდები იბრძოდნენ გაცილებით უკეთესი ადგილისათვის. განა ხუმრობა სათქმელია: მინდორზე იყო ევროპის 6 ჩემპიონი: ჩოხელი, მესხი, კალოევი, ნეტო, მასლიონკინი, კრუტიკოვი.

მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა. თბილისელებმა როგორც ეს მათ სჩვევიათ, თამაში დაიწყეს სწრაფად, ტემპიანად, ისინი ხშირად მიმართავდნენ დრიბლინგს და გარღვევებს, თუმცა მათი მთავარი ოსტატი ამ დარგში – მესხი, ძირითადად ჩაკეტილ იქნა კრუტიკოვის მიერ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ დინამოელებმა თამაში გაშალეს მარჯვენა ფრთაზე, სადაც მაყურებლები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ ბარქაია-მელაშვილის წყვილის სიძლიერეში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ჩოხელის შესანიშნავმა თამაშმა, ხოლო კოტრიკაძემ აიღო რამდენიმე ბურთი, რომლებსაც ძნელად თუ მიწვდება ხოლმე მეკარის ხელი.

“დინამომ” საგრძნობი უპირატესობით ჩაატარა პირველი ტაიმი, რაშიც დიდი როლი ითამაშეს აქტიურმა ნახევარდაცვამ (იამანიძე-ზეინკლიშვილი). რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ბურთი გაიტანა ბარქაიამ და ეს იყო ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში – 1:0.

ანალოგიურად მიმდინარეობდა თამაში მეორე ტაიმის დასაწყისშიც, მაგრამ ნეტომ და ჩისტიაკოვმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა მინდვრის შუაგულში, ხოლო გრეკოვისა და ისაევის იერიშები მარჯვენა ფლანგზე სულ უფრო რეალურ და მწვავე ხასიათს ღებულობდა. სწორედ ისაევმა გაქვითა გოლი 25-ე წუთზე: მან საუკეთესოდ დაამუშავა ბურთი და ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი კარში – 1:1.

მატჩის დასასრულამდე მცირე დრო იყო დარჩენილი და ეს პერიოდი სპარტაკელებმა სრული შესაძლებლობით გამოიყენეს. მათი ძლიერი იერიშები კვლავ მარჯვენა ფლანგიდან მიმდინარეობდა და 41-ე წუთზე ზედიზედ მოწოდებული რამდენიმე კუთხური ბურთის შემდეგ მასპინძლები გავიდნენ წინ – 2:1.

თბილისის “დინამო” აშკარად აგებდა მოგებულ თამაშს და ამ მძიმე მომენტში, როცა გუნდის განკარგულებაში დარჩა სულ ორიოდე წუთი, დინამოელებმა მარცხნიდან მოაწოდეს კუთხური, გადაცემა მიიღო ღოღობერიძემ, რომელმაც ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს და გადაცდა ხაზს – 2:2.

ვ. პავლოვი.

“ლელო”, 15 სექტემბერი, 1960 წ.